ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №2197054

ნომერი: AR1342517

თარიღი : 17.09.2015

გაცემის თარიღი : 18.09.2015

გაცნობის თარიღი : 18.09.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 60 , (ნაკვეთი 03/025) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დიმიტრი ვაჩნაძე პ/ნ 01008009697
- ჭავჭავაძის 29-3133 ბინა 67

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20.08.2015წ. №2152018 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

17/09/2015წ. AR1342517 განცხადებით მომართა დიმიტრი ვაჩნაძემ და მოითხოვა სამსახურის 20.08.2015წ. №2152018 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, მშენებლობის ნებართვის ვადის ნაწილში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20.08.2015წ. №2152018 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ილია ჭავჭავაძის გამზირი #60 (ნაკვ 03/025), შპს ,,კოლოსი XXI" –ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობის (საცხოვრებელი, კომერციული, საოფისე) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობა ნებართვა, რომლის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 12 დეკემბრიდან 2018 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით.

17/09/2015წ. AR1342517 განცხადებას თან ერთვის მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი, რომლის თანახმად, მშენებლობა უნდა განხორციელდეს სამი წლის განმავლობაში.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 56–ე მუხლის თანახმად, „მშენებლობის ნებართვა გაიცემა მშენებლობის განხორციელების დოკუმენტებში განსაზღვრული გონივრული ვადით. მშენებლობის ნებართვის ვადის დინება იწყება მშენებლობის ორგანიზების პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების დაწყების დღეს.“

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20.08.2015წ. №2152018 ბრძანების მე–3 პუნქტში და ჩანაწერი „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2015 წლის 12 დეკემბრიდან 2018 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით“ შეიცვალოს ჩანაწერით „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2015 წლის 18 სექტემბრიდან 2018 წლის 18 სექტემბრის ჩათვლით“

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 20.08.2015წ. №2152018 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.